

ლიცენზირებული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ ღამატიპა
№5, 26 მაისი, ხუთშაბათი, 2016 წელი

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

XX საუკუნის საბჭოთა პერიოდის იმიტანებული მხარობა

არაერთ ლიტერატურულ ნაწარმებმა და ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში ჰპოვა ასახვა საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი ტერიტორიული, პოლიტიკური თუ მორალურ-ზნეობრივი თავისუფლების თემამ. ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა XX საუკუნის საბჭოთა პერიოდის ქართველი ემიგრანტი მწერლების ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე გამოქვეყნებული ნაწარმები, რომელთა შორის უნდა აღვნიშნავთ **„მეორე ქართველები“**.

„1943 წელს, ბერლინში, ურნალ **„ქართველი ერის“** ფურცლებზე გამოქვეყნდა ამერიკაში მწიგნობარი ექიმის, ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის **გივი კობახიძის** ნერილი: **„ხმა დასავლურეთა საკნიდან“**, სადაც აღნიშნულია **მიხეილ ჯავახიშვილის** პატიმრობის უკანასკნელი დღეები:

„ერთხელ გულმა აღარ მომიტოვინა და ვიკითხე: „რა არის იმ კუთხეში, რომ ყოველთვის ჩურჩულდებოდა?“ – წერს გივი კობახიძე. „მეზობლად მყოფმა პატიმარმა სრულიად მოულოდნელად გასაკვირი რამ მთქმობდა: „იმ კუთხეში ზის მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ახალგაზრდა პატიმრებს განუწყვეტლივ ესაუბრებდა“ –ო. ამ სიტყვების გაგონებზე შევკრთი. **მამ, მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება მართალია?** – გამიღვინა გულში და დაწყვიტებული მივედი იმ ჯგუფთან... გავუყვანი და დაუახლოვდი... ხსოვნიდან არ ამომეშლება მიხეილის ხსენება, მისი ნათქვამი სიტყვები და ნაქადაგები...“

საუბედუროდ, ეს ქადაგება არ სწილდებოდა საპატიმროს გაუვალ ნოტიო კედლებს და სიკვდილით დასასჯელით, რომლებიც მის ნაზოვნებს მხოლოდ რევ სამარეში თუ ჩაიყოლებდნენ, თორემ ვერ გაიტანდნენ ხალხში. მე ვარ ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ საკნიდან გამოვიდი და შემიძლია, დიდი მწერლის სიტყვები ვთქვა:

„მე ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის არ დამიზოგავს ჩემი სუსტი ძალ-ღონე, ქართული ერისთვის არ დამიშურებია და არც დავიშურებდი არაფერს. ბევრს ვფიქრობდი მომავალზე და ველოდებოდი ჩვენი გათავისუფლების დღეს ბოლშევიკური და რუსული უღლისგან. მართალია, მე ამ დროს ვერ მოვესწრებო, მაგრამ მალე, სულ მალე, ქართველი ახალგაზრდებო, დადგება უამრავი ჩვენი ერის გათავისუფლებისთვისა, დადგება დრო საწინააღმდეგო, როდესაც ქართველი ხალხი გადავიდებოდა მონობის უღელს თავის ქედდან და იწივრებოდა ისე სახელოვნად, როგორც უწივრია თავისი ძლიერების ხანაში. ჩვენ აღვსდგებით!“ – ასე ლაპარაკობდა მიხეილ ჯავახიშვილი. მის მონობებზე მეტ გულისყურით ვუსმენდი. დიდი სულიერი განმამტკიცებელი ძალა ჰქონდა ამ სიტყვებს. ამიტომ იყო, მის გარშემო მყოფნი გაცა-

ქებულნი გადიოდნენ დასასვრეტად“.

ქართული ეროვნული წინააღმდეგობით არის დაწერილი ემიგრანტი პოეტის **გიორგი ლომიძის** ლექსი „არ არის ნაყოფი ქართული“, რომელიც ავტორმა 1918 წლის 26 მაისის ისტორიულ მოვლენას მიუძღვნა:

„მთაში შობილი, მთის შვილი
შლეგია, ლალი მძვინვარე,
არ დაიღვინა სიბნელით
მთებიდან ჩამოდინარე.
უმღერის მთებს და მზენვიებს,
დახავსულ ლოდებს ედება,
რა დროსაყ გინდა, ენვიე,
გულლიად შეგეგებება...
სკრილდა ჰანგით გაგართობს
ლოდებზე ჩამოქაფული,
მაგრამ არ ძალუძს დაგათროს,
არ არის ნაყოფი ქართული!“

ლექსის: „წრემლი თუ მახრჩობს, როგორ დავწერო“ ლირიკული გმირი ბედმა ემიგრანტში გადატყორჩნა, იგი თავის თავს „ქარავანს მონაცვებელ ობოლ ნეროს“ უწოდებს:

„რამ დამავინყოს ის ქარტყელილი,
რომელსაყ მოჰყვა ბედშავი დღენი,
დავრჩით ხერხემალგადატყვილი
სამშობლოს ბუდე და მისი ძენი...
და ჩემი ჩანგი მიტომ დუმიდება,
რომ იგრძნო ამდენ ვარამით დაღლა.
ვიდრე სამშობლოს დაუბრუნდება,
კიდევ მოუწევს წრემლების დაღვრა...
ქარავანს მოვწყდი ობოლი ნერო,
ვიყი, არ ძალმიძს შინ დაბრუნება,
თუ წრემლი მახრჩობს, როგორღა ვწერო
და როგორ ვაკვირ ბედის რდუნებას?“

XX საუკუნის ემიგრანტი პოეტი **სიმონ ბერე-კიანი** წერს:

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის შრენივალე მომავალით მსურს, გავიხარო.
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტვრად მენახოს მთელი სამყარო!“

დრამატულად არის ნარმოდგენილი სამშობლოს ბედისა და მისი პატრიოტი მწერლის წივრების საზრისი XX საუკუნის ემიგრანტი მწერლის **ნიკოლოზ ქაიხაძის** მოთხრობაში „გრიპი“:

„თექვსმეტი წლის ემიგრანტული სტაჟი მაქვს,
– ამბობს მოთხრობის მთავარი პერსონაჟი –
დღისით თვალმდებელილი, ემიგრანტში ვცხოვრობ. ღამით თვალმდებელილი – საქართველოში. პლიუსი და მინუსი ხომ ერთმანეთს ანათილენს,
– მანასადამე, მე ემიგრანტი არცა ვარ. უფრო მკაფიოდ რომ გამოვხატო ჩემი აზრი, – მე, 16 წლის განმავლობაში, თურმე, არაფერი ვყოფილ-

ვარ. და, ვინ იყის, კიდევ რამდენი ხანი უნდა ვიყო არაფერი“ (ურნალი **„ქართლისი“**, პარიზი, 1937 წ.)

ეროვნული წინააღმდეგობის ჩამოყალიბებისა და განვითარების მნიშვნელოვან მასალებს შეიყვანს პროფ. გურამ შარაძის ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც 1930 წელს პარიზში ჩასული ეროვნული მოძრაობის **„თეთრი გიორგის“** წევრს, **ალექსანდრე მანველიშვილს** ეძღვნება, რომელიც, პირველ რიგში, პარიზში ეროვნული წინააღმდეგობის ფორმირების პრობლემებით დაინტერესდა და აქტიური იდეოლოგიური მუშაობა გააჩაღა.

„მოძრაობა „თეთრი გიორგის“ აზროვნება ქართულ სინამდვილეში არის ახალი სიტყვა. ეროვნული აზროვნება საქართველოში ნინათარ არსებობდა, მაგრამ ის უფრო ფრაგმენტული და ლიტერატურული იყო. მას აკლდა მთლიანობა, ყველა ეროვნული ღირებულების ერთ სისტემაში მოქრევა, რასაც ფრანგებმა „ინტეგრალური ნაწიონალიზმი“ უწოდეს და, რაც ეროვნული წივრების ყოველ სფეროს მოიყვანს, ერთ მთლიან სისტემაში და ორგანიზარაში ჩამოყალიბდეს.“

ამგვარად, ჩვენი ნაწიონალიზმის ხასიათიერ გარკვეულია: „თეთრი გიორგისთვის“ ერი მარადიულია, დანარჩენი – ყველაფერი ნარმავალი. პიროვნებანი გარდამავალი და დროული სტუმრები არიან ერის არსებობის პროცესში. ასევე, ნარმავალი არიან საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ფორმები, რომლებიც იქმნებიან ისტორიის სხვადასხვა პერიოდში“.

ალექსანდრე მანველიშვილი იმ ძნელად განსაკურნებელი სენის არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც დღესაც ძალუძს იჩენს ხოლმე თავს ჩვენს სინამდვილეში:

„ყველა, როცა თუ ბევრად ნამონეულ პირს თავი ყარამანად ნარმოედგინა, ხოლო თავისი ჯგუფი – ერთადერთ მხსნელად საქართველოსი და, რაც ყველაზე მეტად კომიკურ-ტრაგიკული იყო, ყველას უნდოდა, რომ საქართველო მარტო მისი ხელით განთავისუფლებულიყო.“

როგორ ესადაგება ეს შეფასებები ჩვენს დღევანდელ სინამდვილეს, რომელიც XX საუკუნის მინურსის განტანდა საქართველოს პოლიტიკურ წივრებაში.

როგორ მეთოდება მოვლენები შინაარსითარ და ზოგჯერ, ფორმითარ!

იური ნიშვილიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ი უ ბ ი ლ ე

მზია ხეთაგური - 70



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, 2016 წლის 17 მაისს, **კ. მარკანიშვილის** სახელობის თეატრში გაიმართა წონილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ქალბატონ **მზია ხეთაგურის** საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, ხელოვანები: **რევაზ მიშველაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა აზარაშვილი, ირმა სოსხაძე, ომარ მხეიძე, დიმა ჯიანი, ელდინო სალარაძე, ქეთი ფოლიძე**, ქართულ-ოსური სიმღერისა და რეკვის სახელომწიფო ანსამბლი

„ნართები“ და სხვები. საღამოზე შესრულდა ქალბატონ მზიას ლექსზე აუღერებული სიმღერები.

მზია ხეთაგური იმ შემოქმედთა რიგს მიაკუთვნება, რომლებიც განსხვავებული აზროვნებით, ხედვითა და დამოკიდებულებით (არამარტო, ლიტერატურისადმი) ყოველთვის უსწრებენ დროს. ამიტომაც არის მისი შემოქმედება გამორჩეული და თვითმყოფადი, რომელსაც ქარიზმატული თვისებები ავსებს. ქალბატონი მზია ის შემოქმედია, რომელიც ყოველგვარ სტერეოტიპს ამხვერვს და ვერანაირ ჩარჩოში ვერ თავსდება. ამ ყველაფერს მისი ძლიერი გენეტიკური კოდიც განაპირობებს და ლალი შინაგანი ზუნება, უშუალოდ და ქალური მომხიბვლელობა ერწყმის.

იმვითად მოიძებნება ერთ ადამიანში თანაბრად თავმოყრილი ისეთი მრავალმხრივი ნიჭიერება, რომელსაც ქ-ნ მზია ფლობს: პოეზია, დრამატურგია, ჰუმორისტული, საზავშ-ლო ლიტერატურა, მთარგმნელობითი მუშაობა, მუსიკა... და, უბრალოდ, ყრთიერთობების გასაოცარი უნარი და ადამიანებისადმი სიყვარული.

ქალბატონი მზია ოქდარი ნიგნის ავტორი გახლავთ. მისი პიესები დაიდგა არაერთ ქვეყანაში.

მზია ხეთაგური ჭეშმარიტად საზოგადო მოღვაწეა!.. მშფოთვარე, ბოზოქარი სულით, ძეგვალი, ყოველგვარ უსამართლობასა და პირმოთხეობასთან შეურიგებელი, უკომპრო-

მისო დამოკიდებულებით ყველა იმ მოვლენის მიმართ, რომელიც შუღლს აღვივებდა საქართველოში ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, და რომელსაც მისი ყველაფერი შეინირა - ახლომდელი ადამიანების სიყრუბლიერ კი!

მზია ხეთაგურის 90-იანი წლების მწვავე და აქტიური წერილები თუ სატელევიზიო გამოსვლები გამომაფხიზლებელი და მშვიდობის მომხმობი ზარი იყო ქართველ და ოს ერს შორის, რის გამოც მის სიყრუბლიეს საფრთხე დაემუქრა!

აღმათ, ამ თავდადებისთვის, (და, კიდევ იმისთვის, რის შეწინააღმდეგებლად ხედავ და აზროვნებ სჭირდება) უფლის ნებით, გამოარჩია, მთელი სიყრუბლიე სასწაულის მომლოდინე **მზია ხეთაგური საქართველოს პატრიარქმა და 2011 წელს წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოვდა!** და ჩვენ, ნამდვილად, არ გვაქვს უფლება, ეჭვი შევიტანოთ უწმინდესის ამ გადაწყვეტილების სისწორეში!

ქალბატონი მზია ხეთაგურის ხშირი სტუმარი გახლავთ, სადაც მას არაერთი გულშემატკივარი და მეგობარი ჰყავს.

გაზეთი **„ლიტერატურული ხაზი“** ულოცავს ქალბატონ მზია ხეთაგურს იუბილეს და ჯანმრთელ და დღეგრძელ სიყრუბლიეს უსურვებს!

ეკა ზაქარაძე

26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე და სამაჩაბლო

დამოუკიდებლობის დღეს მთელი საქართველო ზეიმით აღნიშნავს. მაგრამ არის მხარეები, სადაც ეს დღე ტკივილიანი და ფიქრისანი: სადაც მავთულხლართებია. ერთმანეთს არის დაშორებული ძმა - ძმას, მეზობელი - მეზობელს, ოჯახი - წინაპრის საფლავს. არა და, ისტორიული სამაჩაბლო - ეს ის მხარეა, რომლის შვილებსაც - ქართველებსაც და ოსებსაც, სხვადასხვა ეპოქაში უბრძოლიათ, უპროშიათ და უშენებიათ ერთიანი ძლიერი საქართველო!

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია ომების ისტორიაა - ხან მოგებულო, ხან წაგებული... გმირიერ უამრავი გვყავს, - უმეტესობა უსახელო გმირია, სამშობლოს შენარული რაინდი ქართველიერ და რაინდი ოსიერ.

სამაჩაბლოს სამაყოდ მხოლოდ კრწანისის გმირებერ ეყოფა, - მეფე ერეკლეს კარის თეატრი - მაჩაბლოს თეატრი, - ლაშქრის წინა ხაზზე რომ იდგა და ხელში ხმლითა და სიმღერით რომ შეეგება სიკვდილს!

თბილისის დასაწყავად იმ დღეს, მაჩაბლოს დასის უკლებლივ ყველა მსახიობი, გმირულად დაერა!..

დამოუკიდებლობის დღე სამაჩაბლოს მინაზე დაბადებულმა ასეთმა გმირებმა მოიტანეს. ამიტომაც სამაჩაბლო ყოველთვის იქნება საქართველოს სისხლხორრეული ნაწილი. მავთულხლართები კი დროებითია, რადგან ქართველთა და ოსთა ძმობა და მრავალსაყუნოვანი თანაყობოვრება მავთულხლართებით ვერ გაიძიუნება, - მთავარი, გულია!

სამაჩაბლოში სხვა საქართველო,
სხვა სურნელება და სხვა ხიბლია,
მაჩაბლოს ენა გამორჩეული,
ქართული ჭიშის ხსნა-სამხილია!
სხვაგან თუ მჭარვალს ხმალი ზარავდა,
აქ, წმინდა ენით, დროე - მახვილია!
სამაჩაბლოა ქართლის მარაბდა,
სხვა დანარჩენი - მოძახილია!
დაკარგულია მაჩაბლოს სახლი,
თვით მაჩაბლიერ დაკარგულია,
ქართულ ენაზე ტყვიების დახლით,
ბგერები რაში გაფანტულია!
ზღვად ასაღებენ სხვა ქვეყნის რუქს,
შავ ზღვას კი მარად შავ ზღვად უვლია...
თუ აფხაზეთი ვერ დავიბრუნეთ,
მაშ, სამაჩაბლოე დაკარგულია!
მზე გულში სხივებს ვერ გაიხუნებს -
წხინვალი ჩვენი საგანძურია!
თუ სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ,
მაშ, საქართველოე დაკარგულია!

მზია ხეთაგური

მზია ხეთაგურის სტილი

ჩვენთან არის მზია ხეთაგური - დახვეწილი რითმებით, ნერვიული რიტმებით, გამოკვეთილი და ზუსტი სათქმელით. გამორდილი ოსტატის ხელი ატყვია ამ ლექსებს და ეს გამორდილება პოეზიაში მნიშვნელოვანი ფაქტორია მთავონების შემდეგ.

მზია ხეთაგურმა კარგად იყის, რა თქვას და როგორ თქვას. მან ისიერ იყის, რომ მისი ლექსით ტრავგიკული ქართული ყოფიერება გამოხატავს თავს - დეჰუმანიზებული, დეჰეროიზებული, გამოშიგნული გარემო, სადაც ადგილი აღარ რჩება სულიერი ნონასწორობისა და უბრალო ადამიანური ზედნიერებისათვის.

მარტოობის მოტივების გარეშე პოეზია არ არსებობს, მაგრამ ასეთი?

თუქრა, რა გვიკვირს, ჩვენ ხომ მზია ხეთაგურის ლექსებს კითხულობთ, ამ ლექსებში ჩანს, თუ როგორ ვემსგავსებით ერთმანეთს პოეტები და მკითხველები ჩვენ-ჩვენი ტკივილებითა და იმედგარეულებით.

ჩვეული გარემოდან გაქრევისა და გაუქობების სურვილი გასაკვირი არ არის, მაგრამ აქ სულ სხვა სიმძლავრით აღიქმება ეს ლტოლვა უწინა სამყაროსკენ, სადაც სიყრუბლიე უფროა საგულგებელი, ვიდრე სხვა რამ, თუქდაც საგანთა ახალი, განსხვავებული რიგი.

ლექსებს რომ გამორდილი ოსტატის ხელი ატყვია, ეს, უპირველეს ყოვლისა, გართმვის ტექნიკაში ვლინდება. მზია ხეთაგური რითმულ ნევილემს ძირითადად ზმნისა და არსებითი სახელის მეშვეობით აყალიბებს, რარ დაკვირვებული მკითხველის თვალში უყოფ საინტერესო ეფექტს ქმნის.

დახვეწილი გემოვნების მაჩვენებელია ისიერ, რომ მეტაფორებს მომჭირნიერ იყენებს და არც სხვა პოეტურ სამშვენიესებს არის დამოკიდებული. ეს არის სტილი, მზია ხეთაგურის სტილი...

ეკა ზაქარაძე
როსტომ ჩხეიძე
ივანე ამირხანაშვილი

პოეზია



თათია მთვარელიძე

მტანჯველ სევდას რომ ფიქრი
 ვანაწევლო,
 ვნევიარ და ვუსმენ სამყაროს ხაველს,
 ჩემი დარდის და წრემლის სანაწევლოდ
 საფლავებიდან წარსული ზღაპრის...
 როგორც სიკვდილის ავი მხევალი,
 ქარი ზუჭბუჭებს წყევლას წარმართა,
 დრომ – ჩემი სულის შავმა მევალიემ
 ათასმეტრეთე ლამერ წამართვა.
 მორჩა, მივდივარ, ვტოვებ სამყაროს,
 ჩემი ტკივილიერ მთავრდება ამით!
 თუნდაც სიკვდილმა სხეულს გამყაროს,
 ანდა ქედოდან რვალი ამყაროს, –
 აქ ვერ დამტოვებს ვერწერით წამით.
 მივდივარ, მაგრამ ვიწი, ვერ წავალ,
 ვემშვიდობები ზოლო სურვილებს,
 გავყურებ წისკენ აღმართულ სავალს,
 ყურს აღარ ვუგდებ მავანს და მავანს
 და ვებრძვი სიტყვებს, ოქროწურვილებს.
 ძნელი ყოფილა მანერ გაქრევა...
 ვამბობ და გულში ეს ფიქრი ყვავის,
 ვერსად ვერ წახვალ, ძვირფასო, თუკი
 საფლავებიდან წარსული ზღაპრის.

გაფრთხილება

რბოვრების ზორკლი შენერ მალე შეგზოვავს
 და შენერ შემოგიყვრს ნამების მარსუხებს,
 თუ არ გაექრევი ამ მღვრიე სანსუთროს,
 სანსუთროს, რომელიერ შენს სულსაერ ანსუხებს.
 სიეროქხლის მნსხარე, მთროლოვარე თითები
 მალე შეეხება სიკვდილის კარბჭეს,
 რადგანარ ამ მოდემის მრისხანე კანონი
 თეორი სიზმრების ნილო, სატანჯველს გვანბჭებს.
 მაგრამ დავინყების მწარე სინამდვილე
 ველარ შევიმსრავს მუზათა სამყოფელს,
 რადგანარ სამყარო მესად დაერემა
 შენი პანანინა სამეფოს გამყოფელს.
 ამიტომ გეძახი, შენ, თეორი ქალღმერთო,
 მთვარეთა სიზმრების წყებათა განმრიგევ,
 ოლონდ ნუ შემრისხავ, ოლონდ ნუ გამკიცხავ,
 და, თუნდ მიჭნსროზარ, სიგიყედ გამიგევ...
 რომ მერე, როდესარ წის და დედამინის
 თეორი მოგონება ავ დროში დალოპება,
 მაშინ გამისხენე, მაშინ მაპატიე
 და მაშინ ანთე სიკეთის ლამპრებად.
 რადგანარ ეგ გული – მინისგან შობილი,
 ამ წყულ სამყაროს შენს ფეხთ ქვეშ გაიგებს,
 და შენ, ვით ქალღმერთი, ზერად ამალღებნი,
 შენ – წის და ხმელითის სიზმრების განმრიგევ!

* * *

სული იბრჩობა წრემლის მორევში,
 დაწყევლია მზეს ეს სამყარო,
 იკვლე, გულო, იქნებ, სიეროქხლეს
 ტანჯვის ზორკლი ძალით აპყარო...
 აღარერ დანდობა, არერ შეზრალეობა!
 ირგვლივ ტბორი დგას ზინძური სისხლის,
 სარა, სიკვდილს წრემლით დაფრთხობ,
 მერე კი შუბლში რხელ ტყვიას იხლი...
 და მაშინ იგოდნობ, რომ შენერ მარტო ხარ
 ხახადაფჩენილ მშიერ მგლეებს შორის,
 როერ მიხვდები, რომ ყოველივეს
 ასდის სურნელი ფუჯის და შმორის.
 იქნება, მაშინ დადგეს აპრილი
 შენი გლოვის და წრემლების ფასად,
 იქნებ, სიეროქხლერ – ზორკლიაყრილი
 მოგეახლოს და გავექრეს არსად...
 მაგრამ, ვაი, რომ სიეროქხლეს ახლა
 შენთვის ფასი აქვს მხოლოდლა მისხლის,
 რადგან მთელი მოდემის გოდებად
 რას შეპლალადებს აბელის სისხლი!..

IX საჯარო სკოლის კიდევ ერთი წარმატება

შოთა რუსთაველის სახელობის ქ. ხაშურის №9 საჯარო სკოლა-ამ 2015-2016 სასწავლო წელი არაერთი წარმატებითა და საინტერესო პროექტის განხორციელებით დაასრულა. ერთ-ერთი ასეთი წარმატება იყო 15 მაისს თბილისის კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში გამართული საღამო, სადაც სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდი, ქალბატონ **ლიანა ცაჭიშვილის** ხელმძღვანელობით, ღირსეულად წარსდგა უიურისა და მსმენელის წინაშე.

სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებულმა გუნდმა, საქართველოს თექვსმეტი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, წარმატებით გაიარა საქართველოს ბავშვთა და ახლოგარეულობის საგუნდო კონკურსების მეორე ეროვნული კონკურსის პირველი ტური და ორ კონკურსანტ სკოლასთან ერთად, მეორე ტურში გადავიდა.

თბილისის კონსერვატორია – კლასიკური მუსიკის დიდებული სავანე სიბზოთი და სიყვარულით შეხვდა ბავშვებს და დაუცინყარი შთანტუფილებები დაუტოვა.

საქართველოს საგუნდო საზოგადოებამ ხაშურის IX სკოლის ნორჩი შემსრულებლები: **შოთაგო მელაძე, ნინო თოფურანი, სოფო ჯყოძე, გიგი ტანაძაძე, სალომე ქურდაძე, იოანე ზუმბაძე, ნიკა ხრიკაძე, ლექსო ყაულაშვილი, ნინი ნოზაძე, გიორგი გელაშვილი, ნანუკა გამრეკელაშვილი, ლუკა ღონლაძე, მარი მულაძე, მარიაშ ფანტელაშვილი, მარი ჩადუნელი, მათა მეტივიშვილი, ლუკა დეკანოძე, ელისო მატარაძე, ზაზა მიქელაძე, მარი ხაჩიძე, ნელი ხარაზიშვილი, მარი მახათაძე, ალექსი თხელიძე და ნინო ხარშილაძე** პრინჯაოს მედლით დააჯილდოვა, რომელიერ 21 მაისს, 18 საათზე, კონსერვატორიის დარბაზში საზეიმო ვითარებაში გადაერემა სკოლის გუნდის ხელმძღვანელს, ლვანდომოსილ ჰედაგოგსა და ჩვენი რაიონის გამორჩეულ თანამემამულეს – ქ-ნ ლიანა ცაჭიშვილს.

11 ივნისს კი, სკოლის გუნდი, ხელმძღვანელთან ერთად, დასკვნით საღამოზე წარსდგება კვლავ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ხათუნა ჩიჭაძე

ხაშურის IX საჯარო სკოლის ჰედაგოგი



ლიცენზირებული ხაზური

მანანა ორბელიანის სალონი

1875 წელს დავით ერისთავმა „**ერისკრის**“ რედაქციას გადასწავ „ძველთა ბეჭედი“ წარწერილი ლექსები“. ამ მშვენიერ ლექსთა შორის იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ მანანა ორბელიანის ბეჭედიზე ტექსტული:

„უფროთ მზის დასვლით მანნელა
სოფელმან ანაზღუდულად...“

ამბობენ, მანანა ორბელიანი ამ ბეჭედს 1832 წლის შეთქმულების შემდეგ ატარებდა. გრიგოლ ორბელიანი, თურმე, მრავალჯერ სთხოვდა, დაეთმო მისთვის ეს მშვენიერი სამკაული, მაგრამ მანანა ვერ ეღობოდა...

ქსნის ერისთავის უმძვენიერესი ასული და ორბელიანთა რძალი უპირველესი იყო იმ ქალთა შორის, ვინც თავისუფლების ბაი-რატებს კრავდა 1832 წელს და ვინც „დაიფიქსა - კარსად ჩავიყვამთ და უკანასკნელ სისხლს დავღვრიეთ მამულისთვისო“...

მანანა მაშინ 24 წლის იყო, ქვრივი... სამი შვილის - ტასოს, ივანესა და ალექსანდრეს ღედა.

შეთქმულების მარცხს შერიგება მოჰყვა...

მთავარმართებლის ბრწყინვალე სალონი, მეტლისი, ლხინი შექრევა და თავდავინცება...

მაგრამ ქვეყნის მამულიშვილთა ყრუ ტკივილი არ ნელდებოდა...

ორბელიანთა უბანს ხუმრობით „ორბელიანთა აულოს“ ეძახდა გრიგოლ ორბელიანი. აქ, ერთმანეთზე აივნიანსა და ბანიან სახლებში რბოვობდნენ სახელგანთქმული ოჯახები... და ყველამ იწოდა ორბელიანების ქალ-რძალთა სიჭურჭის ამბავი:

„წელნაზი თამარ, გულ-ტრედი ქეთევან, „კრასავიკა“ ბაბალო, მინაზებულო სოფიო“ - ეს ეპითეტები გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის... და კიდევ - ანა, მარიამ, მათა, მაიკო, მანანა...

ერთხელ ალექსანდრე ჭავჭავაძისას ანა და მანანა ორბელიანები მისულან, სტუმრებს კარისთვის ფეხი არ გადაებეჭებინათ, პოეტს რომ მაჭამად უთქვამს:

„სვემ მანვიმა მანანა,
მომივლინა მან ანა,
მას თან მოჰყვა მანანა,
მინანავა მან ნანა“...

მანანას სახლი, საიდანაც ერთ დროს მამულის გათავისუფლება უნდა დაენიშნა პატრიოტ ქართველებს, ახლა ბრწყინვალე სალონად იქცა. აქ თავს იყრიდნენ დედაქალაქის ნარჩინებული პირები, კულტურისა და ლიტერატურის მაშინდელი მესვეურნი, უცხოეთიდან ჩამოსული ბრწყინვალე სტუმრები.

„ჭეშმარიტად მსურს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი, მათ რიწხვში მერ ვიყო. მაგრამ წარიეღოს ნაცვრით რა გამოვა,“

- წერდა მანანას შამილთან ბრძოლებში მყოფი და თავის საყვარელ თბილისს მოშორებული გრიგოლ ორბელიანი.

მანანას სალონში დასაბამი ეძლეოდა მთელ რიგ მნიშვნელოვან კულტურულ ნამოყვებებს საქართველოში. ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის მეგობარი ლუკა ისარლიძევილი თავის მოგონებებში წერს:

„მანანა ორბელიანის სალონი იყო, სადა „ერისკრის“ გამოქვეყნება და ქართულ თეატრს მიერ დასაბამი.“

აქ იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს ტაჭო (ნიკოლოზ ბარათაშვილი), გიორგი ერისთავი, „ბირთველიჩი“ (მიხეილ თუმანიშვილი), მაღალაშვილი, ყიფიანი და სხვები.

ერთ საღამოს უთქვამთ: „უყურნალი ვამოვრეთ“-ო... ვორონერვი მანანასთან ხშირად დადიოდა და იქ შეიტყო ამ განზრახვის შესახებ. იღუა მოინონა და „შემწეობა მისრა უყურნალის გამოქვეყნებისა და თეატრისათვის“.

წონილია, რომ 1850 წლის 2 იანვარს, როცა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სტენაზე პირველი ნარმოადგინეს გიორგი ერისთავის „გაყრა“, მანანა ყარდაშვერდის როლს ასრულებდა.

1835 წლის გაზაფხულზე მანანა ჭავჭავაძეებს ესტუმრა წინანდლის სახელგანთქმული მამულში და ალაზნის ველის მშვენიერებით მოხიბლული, ორენებასა და თავდავინცებას მიერა.

ეს „უცხოვრებელი“ დასამახსოვრებელი იყო მანანასთვის, მით უფრო, რომ მის წინანდალში ყოფნას დაემთხვა ალექსანდრე პუშკინის ძმის სტუმრობა ჭავჭავაძეებთან, სადაც მას ნაყითხავს „რუსლან და ლულდ-მილა“, რომელიც იქვე ზეპირად უთარგმნიათ მანანასთვის.

მანანა დაინტერესებულა ამ პოემით და გადასახლებებში მყოფ გრიგოლ ორბელიანისთვის მიუწერია:

„ახლა გთხოვ, გრიგოლ, თუ ქისებნი და ნინდები გინდა, ხომ კიდევ დამპირდი ნიგნის თარგმნასა, შემისრულე ჩემი თხოვნა - „რუსლან და ლულდმილას“ ნიგნი მითარგმნე, შენი ჭირიძე, ისე კარგადა და ძლიერად, როგორც რუსულად არის დაბეჭდილი. თუ გინდა, რომ შეიტყო, ეს სახელი ვინ მასწავლა, მე მითარგმნეს ჩვენმა ქალებმა წინანდალში. შენი ჭირიძე, სადაც იყოს, იშოვე და მითარგმნე, ყმანვილო“...

მანანას თხოვნითა და რჩევით ბევრი სასარგებლო რამ გაკეთდა ქართული ლიტერატურისათვის. ჭაბუკი ბარათაშვილი თავის მეგობრებით მანანას ხშირი სტუმარი ყოფილა. თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს ისინი მის სალონში კითხულობდნენ. მანანა მათ „გულლიად იღებდა და ახლისებდა ამგვარი შრომისათვის“.

ნ. ბარათაშვილსა და მის მეგობრებს, მადლობის ნიშნად, საკუთარ ნაწარმოებთა კრებული მიუძღვნიათ მანანასთვის. მას, აგრეთვე, ბარათაშვილის ხელნაწერთა კრებულზე ჰქონია.

მანანა ქარგვის შესანიშნავი ოსტატურ იყო. მისი მოქარგული ქისა საამაყო ჰქონდათ გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს. მანანას ხელმძღვანელობით, მის სალონში მარამ და მაიკო ორბელიანები, ელენე ერისთავი და მანანას ქალიშვილი ანასტასია აგრძელებდნენ ძველი ქართული ქარგულობის შესანიშნავ ტრადიციებს.

წლები გადიოდა... მტკვრის პირას, ორბელიანთ უბანში ჩუქურთმისანი აივნების წინ ქარმა მრავალჯერ გაფანტა თბილისური ნითელი ვარდის უნაზესი ფურცლები... მანანას სილამაზეს ეძი და მიძინავდნენ მანინ არ აკლდებოდა. ორმოცდაათ წელს იყო მიღწეული ეს მშვენიერი მანდილოსანი, როცა თბილისში ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების სრულყოფილებანი ელჩი - სეიმური მისი სილამაზის ტყვე გამხდარა.

მარამ ორბელიანი იგონებს: „სეიმური ხელსაყრელ დროს უხსნიდა მას სიყვარულის ინგლისურ ენაზე, რომელიც მანანას არ ესმოდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ეს სიყვარულის ახსნა იყო და რომელიც, მისი აზრით, მისი ქალიშვილისადმი იყო მიძღვნილი. ბოლოს, ერთი მეტისმეტად მსურვალე სიყვარულის განხრადების შემდეგ, მანანამ მეგობრებს სთხოვა, რომ აეხსნათ სეიმურისთვის, რასაერ მას სთხოვს, ეს, მხოლოდ და მხოლოდ, მისი ქალის, ტასოს საქმეა. მანანას აუხსნეს, რომ სეიმურის გრძობები მის ქალს კი არა, თვითონ მას ეკუთვნის, რაზედაც მანანამ ბევრი იწინა“...

მანანა ორბელიანის განათლება, სილამაზე, დიდბუნოვნება თაობებს ლეგენდასავით გადაეცემოდა.

ეფროსინე - „ეფრო“ კლდიაშვილი

ქართული თეატრის ერთ-ერთი პირველი მსახიობი ქალი - **ეფროსინე კლდიაშვილი** დაიბადა 1839 წელს, რომელმაც მთელი თავისი ნაყოფიერი სიწოტელი ქართული თეატრის აღორძინებასა და შენარჩუნებას მოახმარა.

ეფროსინეს მამა - ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანი - წონილი ქართველი მოღვაწის **დიმიტრი ყიფიანის** უფროსი ძმა გახლდათ.

მას განათლება თავის ოჯახში მიუღია. შემდეგში მამას იგი ხაშურში ერთი მასწავლებლისათვის მიუბარებია, სადაც ძალიან კარგად შეუსწავლია რუსული და ფრანგული ენები.

ეფროსინეს მეუღლე - გრიგოლ კლდიაშვილი სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის პირადი მდივნის - ლუარსაბ კლდიაშვილის შვილი იყო.

ეფროსინე კლდიაშვილი იყო პირველი ქალი, რომელიც ძალიან კარგად უთავსებდა ერთმანეთს თეატრალურ და საქველმოქმედო საქმიანობას.

სამაგალითო იყო ეფროსინე კლდიაშვილი როგორც დედა. მან რვა შვილი აღზარდა სამშობლოს.

